კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა

2019-2025 წლებისთვის

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ (შემდგომში - კოლეჯი) განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, კოლეჯის დამფუძნებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, ითვალისწინებს ქვეყნის პრიორიტეტებსა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს და მიმოიხილავს კოლეჯის „ახალი ტალღა“ (შემდგომში „კოლეჯი“) გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებსა და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2019- 2025 წლებისთვის.
განვითარების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო დოკუმენტს, რომელიც საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო გაერთიანებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ შეთანხმებული მუშაობით ხელს შეუწყობს საერთო მიზნების მიღწევას პროფესიონალი კადრების მომზადების საკითხში. სტრატეგიული გეგმა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯის თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეაფასონ საკუთარი პროგრესი დასახული მიზნების მიღწევის გზაზე. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი საკუთარ სამომავლო გეგმებს უზიარებს დაინტერესებულ ყველა მხარეს, რათა ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

1. მისიის განაცხადი

კოლეჯის მისიაა პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა.

კოლეჯის ხედვაა

მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი კადრები. მუდმივი განვითარების გზით იყოს ლიდერი მრავალფეროვანი პროგრამებისა და სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვის, აგრეთვე კერძო, საჯარო და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის კუთხით.

კოლეჯის ღირებულებებია:

- გუნდური სულისკვეთება
- მიზანსწრაფვა
- ინოვაცია

გუნდური სულისკვეთება – მივაღწიოთ განსაკუთრებულ შედეგებს, როგორც ერთიანმა, შეკრულმა და უკომპრომისო გუნდმა. მიზანსწრაფვა – ვიყოთ პროაქტიურები, შედეგზე ორიენტირებულები და მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე. ინოვაცია – ვიაზროვნოთ არაორდინალურად, ვეცადოთ გავაუმჯობესოთ არსებული და წარვადგინოთ სიახლეები.

2. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

2.1. კოლეჯის ისტორია

სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" მრავალწლიანი ისტორია აქვს.

ქ. ქობულეთში, 1963 წელს დაარსდა საშუალო ტექნიკური პროფესიული სასაწავლებელი. წლების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა დაწესებულება. მრავალი წარმატებული რეფორმის შედეგად, 2012 წელს, სასწავლებლის ბაზაზე, პირველად ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა კოლეჯი, გაიარა ავტორიზაცია და მიენიჭა კოლეჯის "ახალი ტალღა" სტატუსი.

ავტორიზაციის პროცესების პარალელურად იხვეწებოდა სასწავლო პროგრამები, შესაბამისი მატერიალური რესურსები.

2015 წლიდან კოლეჯი აქტიურად ჩაერთო ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესებში, ასევე მოდულური პროგრამების პილოტირებაში.

უკვე 2016 წლის რეავტორიზაციის დროს კოლეჯმა პროფესიული განათლების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღო უფლებამოსილება 29 მოდულური პროგრამების განხორციელების შესახებ.

დღევანდელი მდგომარეობით კოლეჯი ავტორიზირებულია 33 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 5 დუალური და 4 ინტეგრირებული და 22 პროფესიულ მომზადება/პროფესიულ გადამზადების პროგრამებზე. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა პასუხობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. კოლეჯს გააჩნია ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის, საერთო საცხოვრებელი, სასტუმრო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად კოლეჯი ახორციელებს კერძო პირების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით ტრენინგ კურსებს.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ხარისხის ამაღლებისათვის. ჩართულია საქართველოში განხორციელბულ ყველა მნიშვნელოვან პროექტში. 2016 წელს კოლეჯმა ერთერთმა პირველმა ქვეყანაში გაიარა ხარისხის მართვის/მენეჯმენტის ევროპული მოდელი EFQM-ის (გზა სრულყოფისაკენ) ვალიდაცია.

კოლეჯში დასაქმებულია 115 მაღალკვალიფიციური პედაგოგი, რომლთა უმრავლესობა მოწვეულია შესაბამისი ბიზნესიდან, მათი გადამზადება განხორციელდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საერთაშორისო პროექტების ფარგლებში და უცხოელი პარტნიორების დახმარებით.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიული განათლების დაწესებულებებთან, როგორც ქვეყნის შეგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. აღსანიშნავია მჭიდრო თანამშრომლობა ესტონეთის ქ. ვალგას პროფესიულ სასწვლებელთან და გერმანიის ქ. ბერლინის ბრილატ სავალინის კოლეჯთან. მათთან ხორციელდება გაცვლითი პროგრამები პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

2017-2018 წლებში კოლეჯს გააჩნდა ფილიალი ბათუმში, ხოლო 2018 წლიდან დაიწყო მუშაობა და 2019 წელს გაიხსნა ფილიალი მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ დაბა ხულოში, სადაც ამ ეტაპისათვის ხორციელდება ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

სსიპ კოლეჯის "ახალ ტალღა" საკუთრებაშია ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ # 154-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართი 9104 კვ.მ) და ამ ნაკვეთზე განლაგებული 4 სასწავლო და რამოდენიმე დამხმარე შენობა-ნაგებობა. დ/ხულოს ფილიალი მდებარეობს დ/ხულო შავაძის ქ N3-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. სულ დაწესებულების ბაზაზე არსებობს 40 სასწავლო ლაბორატორია და 21 აუდიტორია თეორიული სწავლებისათავის. კოლეჯს გააჩნია სასწავლო სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი, ორი სამზარეულო, ორი რესტორანი, სპორტული მოედანი, ასევე გააჩნია სატრანსპორტო საშუალებები (5 ერთეული). კოლეჯი ადაპტირებული შშმ პირებისათვის. (აგებულია სტანდარტული პანდუსები, ლიფტები და ა.შ).

2.2. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ (შემდგომში – კოლეჯი) არის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ის ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და ამ წესდებით.

კოლეჯის ძირითად მიზანს, წესდების თანახმად, წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება;

დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;

ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება;

ვ) ტრენინგკურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;

ზ) ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;

თ) გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

კოლეჯის ფუნქციაა:

ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა,

თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;

გ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ე) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;

ზ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;

თ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;

ი) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;

2.3. კონტექსტის მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს განათლების პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხია. განათლების სისტემის ამ მიმართულების გაძლიერება აქტუალურია ადამიანური კაპიტალის განვითარების, შრომის ბაზარზე გარკვეულ სეგმენტებში დეფიციტის შევსების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე თვალსაჩინოა კოლეჯის მრავალპროფილური მიმართულებისადმი ინტერესი საქართველოში, რომლის განვითარების მხარდაჭერა სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ პროფესიული განათლებისადმი გაცხადებული მხარდაჭერისა და ვაუჩერული დაფინანსების პირობებში, აუცილებელია მასობრივი პროფესიების პირველადი მომზადების, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების დღევანდელი ვითარების საჭიროების ანალიზი და უახლოესი პერსპექტივების გათვალისწინებით, კონკრეტული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს ახალ გარემოებაში, დამფუძნებლების მხრიდან ხელშეწყობის პირობებში, საკუთარ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების პოტენციალს, ასევე, კოლეჯში სწავლების ხარისხის გარანტირებული მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფას.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს იმ რისკებსაც, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გეგმის განხორციელების გზაზე და მზადაა ეფექტურად იმოქმედოს მათი თავიდან აცილების მიზნით.

2.4. სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისთვის, ქსელური ინიციატივებისთვის და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

2.5. დამსაქმებელთა ინტერესი

დამსაქმებელთა მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებელთან, ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კოლეჯის წარმატებულ ფუნქციონირებას და მისი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

2.6. ორგანიზაციული მიმოხილვა

ამჟამად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც დუალურად და მოდულურად, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებული მიდგომით. მიუხედავად ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სწავლების დუალური მეთოდის დანერგვით კოლეჯის პრიორიტეტია, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება და/ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკურენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს საკუთარი მომავალი.

კოლეჯი გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის პერმანენტულ ზრდას, რომლის რესურსს წარმოადგენს 1848 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობით. კოლეჯში დასაქმებულია 120 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 36 ადმინისტრაციული და 34 დამხმარე პერსონალი.

კოლეჯის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სწავლება განახორციელოს სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სპეციალურად გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებით, შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერით, თანამედროვე მატერიალურტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო გარემოში. კოლეჯში ყველა პროგრამისთვის არსებობს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო აუდიტორიები და სახელოსნოები. კოლეჯს აქვს შენობა-ნაგებობები და მიწის ფართი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს და შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს.

კოლეჯი ორიენტირებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ განვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში რაოდენობრივ ზრდაზე.

2.7. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი

კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დამატებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას PESTLE ანალიზი ან/და დაინტერესებული მხარეების ანალიზი (Stakeholder Analysis).

SWOT ანალიზი

Strengths - ძლიერი მხარე

- ქვეყანაში ერთერთი მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯი
- კვალიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები. პროგრამების განმახორციელებლები წარმოდგენილია კვალიფიცირებული სპეციალისტების ჯგუფით;
- პარტნიორთა ქსელი სხვადასხვა დარგში. კოლეჯს ჰყავს მრავალი პარტნიორი ორგანიზაცია (სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ტურისტული ოპერატორები, სხვადსხვა სამშენებლო ორგანიზაციები და სხვა) სხვადსხვა დარგში;
- დუალური პროგრამების გამოცდილება. კოლეჯი ახორციელებს რამდენიმე დუალურ პროგრამას და გააჩნია კარგი გამოცდილება ამ მხრივ;
- CISCO ქსელური აკადემიის წევრობა. კოლეჯი არის CISCO ქსელური აკადემიის წევრი
- კოლეჯსა და საწარმოებში არსებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საერთო საცხოვრებლის არსებობა

Opportunities - ორგანიზაციის შესაძლებლობები

- საქართველოში სხვადასხვა დარგებში დასაქმებულთა დამფუძნებლის/დამსაქმებლის მოთხოვნით მომზადება/გადამზადების ეტაპობრივი საჭიროება;
- კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობა და კვალიფიციური რეზერვის შექმნა;
- კოლეჯის შესაძლებლობა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან, ინსტიტუციებთან, დაწესებულებებთან, კომპანიებთან და დონორ ორგანიზაციებთან, რომლის საფუძველზე სასწავლო პროცესში განხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მობილობის მაჩვენებლების გაზრდა, სასწავლო პროცესის მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- კოლეჯის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში არსებულ პროგრამებზე გამოშვების წლიური მაჩვენებლის გაზრდა, ხოლო ახალი პროფესიების შემთხვევაში - მათი შემუშავება და დანერგვა დარგებში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ;
- ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის გამოყენებით კოლეჯის კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობის გაზრდა და კადრებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.
- „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრა. საშუალო და პროფესიული განათლების ინტეგრაცია საშუალებას აძლევს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთვრებულს სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა უმაღლეს დაწესებულებაში;
- კომერციული საქმიანობის უფლება. პროფესიულ სასწავლებელს მიეცა დამხმარე კომერციული საქმიანობის წარმოების უფლება (მაგალითად, მეცადინეობის დროს შექმნილი პრდუქციის რეალიზაცია, მომსახურების გაწევა თუ სხვა);
- მთის განვითარების პოლიტიკა. მთის განვითარებაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობა მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების წინაპირობაა.

Weakness - სუსტი მხარე

- დუალური სწავლების ინსტრუქტორის ხშირი ცვლა. არსებული სახელფასო ბადის პირობებში ხშირია დუალური პროგრამების ინსტრუქტორების ცვლა რაც აფერხებს პროგრამას;
- კოლეჯის რეგიონში მდებარეობა
- მართვის სისტემის ნაკლოვანებები. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და საოპერაციო პროცედურები საჭიროებს სრულყოფასა და შემდგომ გაუმჯობესებას
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა მაღალი საშუალო ასაკი.

Threats - მოსალოდნელი საფრთხე/რისკები

- ინტენსიური კონკურენცია. პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები (მათ შორის უნივერსიტეტების პროფესიული პროგრამები), მეტ-ნაკლებად თანაბარი რესურსები და ორგანიზაციული კომპეტენცია ამძაფრებს კონკურენციას გლობალური ან ადგილობრივი ფორსმაჟორული სიტუაციები (პანდემია და სხვ.).
- სპეციალობის დიპლომი არ არის სავალდებულო. ეკონომიკის რამდენიმე დარგში, სადაც საქმდება პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა (მაგალითად, სამშენებლო სექტორი, ტურიზმი), შესაბამისი პროფესიის დიპლომი არ არის სავალდებულო არც საქართველოს კანონმდებლობით და არც კომპანიის შინაგანაწესით
- დუალური სწავლების სირთულე. ბიზნეს კომპანიები, სადაც მუშაობენ და სწავლობენ დუალურ პროგრამაში ჩართული პროფესიული სტუდენტები, ხშირად ცვლიან მენეჯმენტს, რაც საფრთხეს უქმნის დუალური პროგრამის მსვლელობას;

3. სტრატეგიული მიზნები

2019-2025 წლების განმავლობაში კოლეჯი ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება
- მაღალმთიან აჭარაში, დაბა ხულოში ფილიალის დაარსება
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება
- სტუდენტური სერვისების განვითარება

- ადამიანური რესრუსის განვითარება

კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 წლებისთვის

სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"
სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025

სტრატეგიული მიზნები:
1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.
2. მაღალმთიან აჭარაში, დაბა ხულოში ფილიალის დაარსება;
3. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. სტუდენტური სერვისების განვითარება;
5. ადამიანური რესრუსის განვითარება

სტრატეგიული მიზანი N1

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.

ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
1.1. ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვა ხარისხის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახრციელე-შეაფასე-განავითარე	კვლევებისა და გეგმების არსებობა. შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია, SWOT ანალიზი.	დ/ მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი	შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების სიმცირე
1.2. თანამედროვე სწავლებვის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა	ავტორიზირებული მოდულური/დუალური პროგრამები და სხვა.	დ/ მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი.	ავტორიზაციის პაროცესის ვერ გავლა, ადამიანური რესურსების სიმცირე

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	ავტორიზირებული მოდულური/დუალური პროგრამები	დ/ მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი	ადამიანური რესურსების სიმცირე
1.4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაციების გაუმჯობესება	მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობა	იურისტი; ხარისხის მართვის მენეჯერი.	
სტრატეგიული მიზანი N2			
მაღალმთიან აჭარაში, დაბა ხულოში ფილიალის დაარსება			
ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
2.1. არსებული შენობის რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული შენობა/ფინანსური დოკუმენტაცია	დირექტორი; დ/ მოადგილე; ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
2.2. ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (მომზადება/დამტკიცება/დამატება)	ავტორიზირებული მოდულური/დუალური პროგრამები	დ/ მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელები	ადმიანური რესურსები
2.3. შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლების მოძიება/მოზიდვა/გადამზადება	გადამზადებული პროფესიული მასწვლებელების არსებობა/შრომითი ხელშეკრულებები/ჩატარებული ტრენინგები	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი; ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი	დაბა ხულოს რეგიონში, შესაბამისი კადრების სიმცირე
2.4. პროგრამების სპეციფიკით გათვალისწინებული ლაბორიატორიების/სახელოსნოების მოწყობა	მოწყობილი დარგის შესაბამისი კლას ლაბოტრატორიები/ფინანსური დოკუმენტაცია	დ/ მოადგილე; ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	ტენდერთან დაკავშირებული რისკები; არასაკმარისი დაფინანსება.
2.5. ფილიალის ადმინისტრირებისთვის პირების მოძიება/მომზადება/დანიშვნა	ადმინისტრირებისთვის შერჩეული პირების შრომითი ხელშეკრულებები/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დ/ მოადგილე; ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი	დაბა ხულოს რეგიონში, შესაბამისი კადრების სიმცირე
2.6. სასწავლო პროცესის ორგანიზება/წარმართვა	ბრძანებები, ცხრილები, და პროფესიული სტუდენტების მოძრაობა.	დ/მოადგილე; ფილიალის კოორდინატორი; პროგრამის ხელმძღვანელები.	დაბა ხულოს რეგიონში, შესაბამისი კადრების სიმცირე
სტრატეგიული მიზანი N3			
კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება			

ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
3.1. ახალი, სტანდარტებთან შესაბამისი სხვადასხვა მიმართულების პროგრამებისთვის ლაბორატორიებისა და დამხმარე შენობა/ნაგებობების მშენებლობა	ვიზუალური დათვალიერება/ფინანსური დოკუმენტაცია	დ/ მოადგილე; ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	ფინანსების უქონლობა, სამშენებლო პროექტისა და ტენდერთან დაკავშირებული რისკები
3.2. მიმდინარე პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათანამედროვება	ვიზუალური დათვალიერება/ფინანსური დოკუმენტაცია	დ/ მოადგილე; ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	ფინანსების უქონლობა, ტენდერთან დაკავშირებული რისკები
3.3. არსებული შენობა-ნაგებობების მიმდინარე სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები	ვიზუალური დათვალიერება/ფინანსური დოკუმენტაცია	დ/ მოადგილე; ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	ფინანსების უქონლობა, ტენდერთან დაკავშირებული რისკები
3.4. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	ვიზუალური დათვალიერება/ფინანსური დოკუმენტაცია	ვმატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი	აღჭურვილობის ტექნიკური გაუმართაობა; ბუნებრივი კატაკლიზმები
სტრატეგიული მიზანი N4			
სტუდენტური სერვისების განვითარება			
ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
4.1. პროფორიენტაცია	მოქალაქეებთან, დამსაქმებლ კომპანიებთან, დასაქმების სააგენტოსთან შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია, PR -აქტივობები.	პროფორიენტაციისა და კრიერის დაგეგმვის მენეჯერი	
4.2. სტუდენტური სერვისები (კონფერენციები, შეჯიბრებებები, ტრენინგები, მასტერკლასები, ექსკურსიები და სხვ).	სერვისების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია	ღონისძიების ორგანიზატორი	

4.3. კურსდამთავრებულთა სერვისები.	სერვისების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია	პროგრამის ხელმძღვანელი	შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვალებადობა
4.4. ახალი საერთაშორისო პროექტების, პარტნიორების/საწარმოების მოძიება/თანამშრომლობა	პროექტების, პარტნიორების/საწარმოების არსებობა, შესაბამისი დოკუმენტაცია	დ/მოადგილე	პარტნიორების დაინტერესების შემცირება; ფინანსები; პროფესიულ განათლებაში გრანტების სიმცირე
4.5. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიებების ჩატარება	ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია	PR მენეჯერი	
სტრატეგიული მიზანი N5			
ადამიანური რესრუსის განვითარება			
ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
5.1. ადმინისტრაციული რესურსის უნარებისა და შესაძლებლოებების გაუმჯობესება	ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	
5.2. პროგრამის განმახორციელებლ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	
5.3. პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორების შესაძლებლობების გაძლეირება სწავლისა და შეფასების მეთოდებში	ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	ინსტრუქტორების გადინება კომპანიებიდან